



რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი
საპრეზიდენტო არჩევნები 2013

პროექტი # S-13-238

საანგარიშო პერიოდი: 16 - 29 სექტემბერი, 2013 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 სექტემბერი - 25 ნოემბერი, 2013

პროექტის ბიუჯეტი: 40 000 ლარი

მონიტორინგის პირველი ეტაპის ძირითადი მიგნებები:

- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობოდა დრო;
- თითქმის არ გაშუქებულა საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები და საარჩევნო პროგრამები. ჟურნალისტები, ძირითადად, საპრეზიდენტო კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრებისა და საარჩევნო შტაბების გახსნის შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ;
- ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება თითქმის ყოველთვის ნეიტრალური იყო;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარი პრობლემა მოვლენების ზედაპირული გაშუქება იყო. ახალი ამბების თემატიკა პოლიტიკოსების განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე სუბიექტების პირდაპირი გაშუქება სჭარბობდა ირიბს;
- არხებზე გასულ თოქ-შოუებში ძირითადად სოციალური საკითხები შუქდებოდა, ნაკლები დრო ეთმობოდა პოლიტიკურ თემებს და საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამებს.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 16-29 სექტემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების საღამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი"

(ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული

ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხი ყოველდღიურად ამზადებდა საინფორმაციო გამოშვებებს. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 5 წუთი დაეთმოთ. აქედან, ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი ხელისუფლების (27%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (21%) და აჭარის მთავრობის (14%) გაშუქებაზე მოდიოდა.


ჟურნალისტები, ძირითადად, აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდნენ. სიუჟეტებს ხშირად მოსახლეობისთვის აქტუალურ სოციალურ თემატიკაზე ამზადებდნენ და არსებული პრობლემების მოგვარების შესახებ კომენტარისთვის ადგილობრივი

ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები მწვავე სოციალურ თემებს აშუქებდნენ, სიუჟეტებში არ შეინიშნებოდა მიკერძოებულობისა და დაუბალანსებლობის შემთხვევები.

საინფორმაციო გამოშვებებში საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებას მინიმალური დრო დაეთმო. ერთ წუთზე მეტი დროით, მხოლოდ „ხალხის პარტიის“ ლიდერი, კობა დავითაშვილი იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები კრიტიკულები იყვნენ ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის, აგრეთვე სამთავრობო გუნდის საქმიანობის გაშუქებისას. აჭარის მთავრობა 58%-ით უარყოფით ტონში იყო წარმოდგენილი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მხარეებს ყოველთვის თანაბრად ეძლეოდათ კომენტარის გაკეთების საშუალება.

აღსანიშნავია, ისიც რომ სუბიექტთა პირდაპირი გაშუქების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო.




"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი დაეთმოთ. საშუალოდ 30-40 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებების გამხსნელ სიუჟეტებში სჭარბობდა საპარლამენტო თემატიკა. ქვეყნისა და რეგიონის თემებზე სიუჟეტები ახალი ამბების შუა ნაწილში იყრიდა თავს.

საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო კოალიცია "ქართულ ოცნებას" (28 წთ.) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (18 წთ.) დაეთმო. სჭარბობდა სუბიექტების ნეიტრალური და პოზიტიური გაშუქება. ნეგატიური გაშუქების ფაქტები ძირითადად სუბიექტების ირიბი გაშუქების შედეგი იყო.

საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები და საარჩევნო პროგრამები. წუთზე მეტი დრო მხოლოდ გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება") დაეთმო.

ახალ ამბებს ჟურნალისტები მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტების უმრავლესობაში დაცული იყო ბალანსი და თემატიკიდან გამომდინარე წარმოდგენილი იყო საპირისპირო აზრები. ჟურნალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამყარებული იყო რესპონდენტების კომენტარებით და ინფორმაციის წყაროს მითითებით.




ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - არხის 35 წუთიანი ახალი ამბების გამოშვება "ქრონიკა" ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადაიცემოდა, კვირას კი ეთერი სპეციალურ გამოშვება "კვირის ქრონიკას" ეთმობოდა, სადაც კვირის მნიშვნელოვანი ამბები იყო თავმოყრილი.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტებს 23 წუთი დაუთმო. აქედან, ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი ხელისუფლების (29%) და მთავრობის (21%) გაშუქებაზე მოდიოდა. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დროით მხოლოდ

გიორგი მარგველაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება") და დავით ბაქრაძე ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") გაშუქდნენ.


სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე ხშირად რეგიონის ახალი ამბები შუქდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას ექცეოდა. აღსანიშნავია, რომ მათი საქმიანობა მხოლოდ დადებით და ნეიტრალურ კონტექსტში იყო წარმოდგენილი. გაშუქებული სუბიექტებიდან მხოლოდ ორის მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონი.



"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში 15 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები ტელეკომპანიის ეთერით ორშაბათი-პარასკევს მანძილზე ყოველდღიურად გადაიცემოდა. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში დაახლოებით 9 წუთი დაეთმოთ. აქედან, ყველაზე მეტი დროით მთავრობა (3 წთ. 18 წმ.) და ადგილობრივი ხელისუფლება (2 წთ. 22 წმ.) გაშუქდნენ. არხზე საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები არ გაშუქებულა.

გაშუქებული სუბიექტების მიმართ სამივე ტონი თანაბრად გამოვლინდა.


ჟურნალისტები სოციალურ თემატიკაზე სიუჟეტებს აქტიურად ამზადებდნენ, თუმცა აღმოჩენილ პრობლემებთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციებს ნაკლებად აშუქებდნენ და ძირითადად, პრობლემების ზედაპირული ჩვენებით შემოიფარგლებოდნენ.



"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში არხის საღამოს ეთერში დღეში ორი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. ახალი ამბების გამოშვებებში ნაკლები დრო ეთმობოდა ზოგადად ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. იგი, ძირითადად, რეგიონზე იყო ორიენტირებული.


საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 53 წუთი და 19 წამი დაეთმო. აქედან, ყველაზე დიდი დრო მთავრობის (35%), ადგილობრივი ხელისუფლებისა (21%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%) გაშუქებაზე მოდიოდა. წუთზე მეტი დრო, უმეტესწილად ნეიტრალურ ტონში, პრეზიდენტობის მხოლოდ სამ კანდიდატს დაეთმო: გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება"), გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა") და შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია"). საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების დაბალ მაჩვენებელს ჟურნალისტები რეგიონში მათ მცირე წინასაარჩევნო აქტივობებს უკავშირებდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 22 სექტემბრის კვირის შემაჯამებელ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტიც მომზადდა (სიუჟეტი 29 სექტემბრის გამოშვებაში გამოვლიდა).

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებელად, საკუთარი შეფასებების გარეშე, მოკლედ და ამომწურავად აშუქებდნენ. აღსანიშნავია, რომ ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბ გაშუქებას.



"თანამგზავი" (თელავი) - ტელეკომპანია პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. ახალი ამბების გამოშვებები არხზე ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გარდა) მზადდებოდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სუბიექტებს ჯამში 35 წუთი დაეთმო. აქედან, ყველაზე დიდი დრო (10 წთ.) მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 4 წუთი - პრეზიდენტის. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მხოლოდ დავით ბაქრაძე ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") გაშუქდნენ. ძირითადად, მათი მოსახლეობასთან შეხვედრები იყო ნაჩვენები. ორი ყველაზე ხშირად წარმოდგენილი სუბიექტის (მთავრობა, პრეზიდენტი) მიმართ პოზიტიურად გაშუქების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და კოალიცია "ქართული ოცნება" უმეტესად ნეგატიურ ტონში გაშუქდნენ (შესაბამისად, 73%, 74%).

მთლიანობაში, ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ, თანაბრად კრიტიკულები იყვნენ, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ. თუმცა, გამოიკვეთა წყაროთა სიმწირის პრობლემა: სიუჟეტები ხშირად მხოლოდ ერთი მხარის პოზიციებს აშუქებდა.




"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თრიალეთი“ 10-20 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ამზადებდა. შაბათს კი, საინფორმაციო გამოშვებაში, კვირის განმავლობაში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან ამბებზე მომზადებული სიუჟეტები მეორდებოდა. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებები წამყვანის გარეშე გადიოდა.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 9 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დრო მთავრობის (24 წთ.) გაშუქებაზე მოდიოდა, მას 18 წუთით მოჰყვებოდა ადგილობრივი ხელისუფლება. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია") 11 წუთი დაეთმო, ორწუთიანი გაშუქება ჰქონდა კობა დავითაშვილს ("ხალხის პარტია"), ხოლო ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო.

სუბიექტების უმრავლესობა ნეიტრალურ ტონში შუქდებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის ("ლეიბორისტული პარტია") მიერ პრემიერის მისამართით გაკეთებული ნეგატიური განცხადებების გამო ბიძინა ივანიშვილის მიმართ 98%-იანი უარყოფით ტონში გაშუქება გამოვლინდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ შიდა ქართლში მიმდინარე მთავარ მოვლენებთან დაკავშირებით მომზადებული ვრცელი სიუჟეტები გადიოდა. წარმოდგენილი იყო დაინტერესებული მხარეების პოზიციები. ჟურნალისტები ახალ ამბებს სუბიექტური შეფასების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო.


მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სიუჟეტში სინქრონი ტიტრის გარეშე გავიდა, რის გამოც რთული იყო რესპონდენტის ვინაობის დადგენა.



"გურია" (ქ. ოზურგეთი) - სამაუწყებლო კომპანია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღიურად ამზადებდა 10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს არხმა 36 წუთი დაუთმო. ამ დროის 34% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა. საერთო დროის 15% "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო, ხოლო 12% - ადგილობრივ ხელისუფლებას. საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები საერთოდ არ გაშუქებულა. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან მხოლოდ გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა") დაეთმო ერთი წუთი.

სიუჟეტები, უმეტესწილად, დაბალანსებული იყო, რაც ტონის რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა: ყველა გაშუქებული სუბიექტი ნეიტრალურად იყო წარმოჩენილი. ჟურნალისტები ახალ ამბებს სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ.

არხი, ძირითადად, რეგიონში მომხდარ დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით ამზადებდა სიუჟეტებს, ასევე შუქდებოდა ქვეყანაში მომხდარი მთავარი მოვლენები.



"იმერვიზია" (ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში 40 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება კვირაში ორჯერ (სამშაბათი, პარასკევი) 19:00 საათზე გადიოდა და მოგვიანებით 21:20 საათზე მეორდებოდა.


დღის სიახლეები, ძირითადად, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში განვითარებულ მოვლენებს შეეხებოდა. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის მხოლოდ ოთხი სუბიექტი გაშუქდა. მათ ჯამში 15 წუთი დაეთმო. საინფორმაციო გამოშვებებში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტები საერთოდ არ გაშუქებულან.

სუბიექტების გაშუქების ტონი დიდწილად დადებითი იყო. პოზიტიურად გაშუქდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა: დათმობილი 10 წუთიდან 68% დადებით ტონზე მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები რეგიონში არსებული პრობლემების წარმოჩენას ცდილობდნენ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კრიტიკულ კითხვებს უსვამდნენ. ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში მიწვეული ჰყავდათ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, რომელიც დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე საუბრობდა. ხელისუფალთა პასუხები უმეტესწილად პრობლემების მოგვარების დაპირებას შეიცავდა. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დათმობილი დროის 80% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

საანგარიშო პერიოდში სიუჟეტების თემატიკა ხშირად სკოლამდელი განათლებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემებს ეხებოდა, შუქდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები და დღესასწაულები. სოციალური პრობლემების გაშუქებისას ჟურნალისტები

მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე ცდილობდნენ საინტერესო, კრიტიკული კითხვების დასმას.


„იმერვიზიას“ ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებები არ აქვს. ტელევიზია საკუთარი კონტენტის წარმოების გარდა შემეცნებით-გასართობი არხის „GDS-ის“ (ქ. თბილისი) ტრანსლირებას ახდენს. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ მცირე იყო. ამდენად გარკვეული ტენდენციების დანახვა ჭირს.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანიის ეთერში 20-30 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები ყოველდღიურად გადაიცემოდა. კახეთის რეგიონში მომხდარ დღის მთავარ მოვლენებთან დაკავშირებით ვრცელი სიუჟეტები მზადდებოდა, ხოლო რუბრიკაში "რეგიონსგარეთ განვითარებული მოვლენები" ქვეყანაში მომხდარი მთავარი ამბები შუქდებოდა.

საანგარიშო პერიოდის ახალი ამბების გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 50 წუთი დაეთმოთ. აქედან, ყველაზე მეტი დრო მთავრობის (32%) და ადგილობრივი ხელისუფლების (31%) გაშუქებაზე მოდიოდა.

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად, სუბიექტური შეფასების გარეშე გადმოსცემდნენ. შესაბამისად, ყველა სუბიექტის გაშუქებაში ნეიტრალური ტონი ბევრად სჭარბობდა დადებით და უარყოფით ტონებს. სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო, წარმოდგენილი იყო დაინტერესებული მხარეების პოზიციები.




"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია ყოველდღურად ამზადებდა საინფორმაციო გამოშვებებს, რომელთა ქრონომეტრაჟი საშუალოდ 20-30 წუთს შეადგენდა. ახალი ამბების გამოშვება რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს აშუქებდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი დაეთმო. ყველაზე დიდი დრო (18-18 წთ.) მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის გაშუქებაზე მოდიოდა. ტელეკომპანიის ახალი ამბები პოლიტიკური პარტიების გაშუქების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა: საერთო დროის 16% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო, ხოლო 10 % - კოალიცია „ქართულ ოცნებას“. თითქმის არ გაშუქებულა საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია და საარჩევნო პროგრამები. წუთზე მეტი დროით მხოლოდ გიორგი მარგველაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება") იყო წარმოდგენილი.

ჟურნალისტები ახალი ამბების მოკლე გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ და მოვლენებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. სუბიექტების ნეიტრალურ ტონში გაშუქება ბევრად სჭარბობდა როგორც დადებით, ასევე უარყოფით ტონში გაშუქებას. სიუჟეტებში არ შეინიშნებოდა მხარეთა მკვეთრი დაუბალანსებლობა. კვირის შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვებაში ძირითად პრობლემას ანალიტიკური სიუჟეტების ნაკლებობა წარმოადგენდა.

საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქებულ მონიტორინგის შვიდივე სუბიექტს მნიშვნელოვანი დრო დაეთმოთ პირდაპირი საუბრისთვის.




"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - ორკვირიან საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში საინფორმაციო გადაცემა „კურსორი“ ყოველ სამუშაო დღეს 10-20 წუთიანი გამოშვებებით გადიოდა ეთერში. ძირითადად, რეგიონში მიმდინარე მოვლენები შუქდებოდა, დრო ეთმობოდა „რეგიონულ მაუწყებელთ ასოციაციის“ და პარტნიორი ტელეკომპანიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებს.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი დაეთმოთ. საერთო დროის დიდი ნაწილი (30%) ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებაზე მოდიოდა. პოლიტიკური სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (14%) და კოალიცია "ქართული ოცნების“ (13%) გაშუქებას დაეთმო. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დროით ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") და გიორგი მარგველაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება") გაშუქდნენ. ტონის მიხედვით სუბიექტების მიმართ ნეიტრალური გაშუქება სჭარბობდა. თუმცა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ 44%-იანი ნეგატიური გაშუქება დაფიქსირდა.

საინფორმაციო გამოშვებები არ გამოირჩეოდა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების მრავალფეროვნებით. საპრეზიდენტო კანდიდატები, ძირითადად, „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტებში შუქდებოდნენ.

სიუჟეტებში საპირისპირო პოზიციები იყო წარმოდგენილი. ადგილობრივ თვითმმართველობაზე სიუჟეტის მომზადებისას, ჟურნალისტები ცდილობდნენ საკრებულოში წარმოდგენილი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მოსაზრებების გაშუქებას. საინფორმაციო გამოშვებებში წარმოდგენილი სუბიექტების პირდაპირი საუბრისათვის დათმობილი დრო აღემატებოდა მათ ირიბ გაშუქებას.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - ტელეკომპანიის სადამოს ეთერში, ყოველდღურად (შაბათ-კვირის გარდა) თოქ-შოუ "დიალოგი" გადიოდა, რომელიც ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა. კვირაში ერთხელ, იგივე დროს "დიალოგს" ენაცვლებოდა, მსგავსი ფორმატის თოქ-შოუ "უპასუხეთ ხალხს" (ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" პროექტი). გადაცემებში მიწვეული ერთი ან რამდენიმე სტუმარი პირდაპირ ეთერში წამყვანის და მაცურებლის მიერ დასმულ კითხვებს პასუხობდა, ხშირად იმართებოდა დებატებიც.

გადაცემის თემა ყოველთვის წინასწარ იყო დაანონსებული. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანიის ეთერში ათი თოქ-შოუ გავიდა. თემების თვალსაზრისით გადაცემები მრავალფეროვანი იყო. განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- მთავრობის ათთვიანი საქმიანობის შედეგები;
- ბიზნესმენი სამართალს ეძებს და იუსტიციის მინისტრს მიმართავს;
- აჭარის უმაღლესი საბჭოს დაფინანსება იზრდება;
- „ვი-აი-პი“ პერსონები აჭარის მთავრობაში;
- არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან;
- ახალი და ძველი ინვესტიციები აჭარაში;
- საბაჟო და საგადასახადო სამსახურების განცალკევება;
- კოალიციური მთავრობის მომავალი;
- აჭარის ტელევიზია;
- საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები.

გადაცემებში მხარეები, ძირითადად, დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი. მიწვეული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების, აჭარის მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე ექსპერტები. მაღალი იყო მოქალაქეთა ჩართულობაც (სატელეფონო ზარები). გადაცემები გამოირჩეოდა პოზიციების მრავალფეროვნებით. თუმცა 16 სექტემბრის გადაცემაში, სადაც მიწვეული იყო პარლამენტში ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი, მურმან დუმბაძე, მხოლოდ ჟურნალისტი გვევლინებოდა რესპონდენტის ოპონენტად, რადგან გადაცემას სხვა სტუმარი არ ჰყავდა. კრიტიკული შეფასებები და კითხვები მხოლოდ მოქალაქეების სატელეფონო ჩართვებიდან ისმოდა.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, მედიატორის როლში გვევლინებოდა და მოწვეულ სტუმრებს თანაბარ პირობებში აქცევდა, თუმცა დაფიქსირდა შემთხვევები, როცა სტუდიაში მიწვეული მხარეები კამათობდნენ და წარმოქმნილი ხმაურის ფონზე მათი არგუმენტების გაგება ჭირდა. წამყვანი ცდილობდა საკუთარი პოზიცია ნაკლებად დაეფიქსირებინა, თუმცა

ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამთავრობო გუნდის მიმართ ხშირად კრიტიკულ კითხვებს სვამდა.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში ერთსაათიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „თემა“ კვირაში ორჯერ გადიოდა. სტუდიაში ოთხი ან ხუთი სტუმარი იყო მიწვეული.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემებში განიხილებოდა შემდეგი თემები:

- უმაღლესი განათლება;
- ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესები;
- სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები;
- ცოფის საერთაშორისო დღე.

საანგარიშო პერიოდში „თემის“ ეთერში საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამა და წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა არ გაშუქებულა. მონიტორინგის სუბიექტებიდან თოქ-შოუში საუბარი ადგილობრივ ხელისუფლებაზე, მთავრობაზე, პრემიერ-მინისტრზე, კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალური მოძრაობაზე“ იყო.

გადაცემებში ადგილობრივი ხელისუფლებისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ნეგატიური და ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. მთავრობის, პრემიერ-მინისტრისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ - ნეიტრალური და დადებითი ტონი. უარყოფითი ტონი, ძირითადად, რესპონდენტების შეფასებებიდან მოდიოდა.

„თემის“ წამყვანები (ხატია ბაბუნაშვილი და ნანა რობაქიძე) აქტიურად იყვნენ ჩართული გადაცემის პროცესში და საკმაოდ ბევრ კითხვასაც სვამდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ჟურნალისტი იჩენდა სკეპტიციზმს და კრიტიკულობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ და შეკითხვასთან ერთად საკუთარ მოსაზრებასაც აჟღერებდა. წამყვანები კეთილგანწყობილი იყვნენ რესპონდენტების მიმართ. დისკუსია ყოველთვის ზომიერ ფარგლებში მიმდინარეობდა. შესაბამისად, გადაცემაში არ ყოფილა არაკორექტული გამონათქვამები ან სიძულვილის ენა.

ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - არხის ეთერით 21:30 საათზე გადაიცემა თოქ-შოუ "თქვენი დრო". ორმოცწუთიანი გადაცემაში ერთმა მოწვეულმა საპრეზიდენტო კანდიდატმა პასუხი უნდა გასცეს როგორც ჟურნალისტის შეკითხვებს, ასევე სტუდიაში შემოსულ სატელეფონო ზარებსაც. წამყვანის განცხადებით, აღნიშნული ფორმატი

მორგებულია საპრეზიდენტო კანდიდატებზე, ვინაიდან მათმა უმრავლესობამ უარი განაცხადა დებატებში მონაწილეობაზე.

გასული ორი კვირის განმავლობაში "თქვენი დრო" სამჯერ გადაიცა (20, 24 და 27 სექტემბერს).

მიწვეული სტუმრები იყვნენ პრეზიდენტობის კანდიდატები: ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), ზურაბ ხარატიშვილი ("საქართველოს ევროპელი დემოკრატები") და ნესტან კირთაძე (საინიციატივო ჯგუფი).

ჟურნალისტის დასმული კითხვები კორექტული იყო და არ გვხვდებოდა სუბიექტური აზრის დაფიქსირების შემთხვევები. ჟურნალისტი სწრაფ რეაგირებას ახდენდა და სტუმარს არაეთიკური განცხადებების გაკეთების საშუალებას არ აძლევდა. მაგალითად, როდესაც ნინო ბურჯანაძე ცდილობდა დაედანაშაულებინა მისი კონკურენტი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და კოალიცია "ქართული ოცნება", რომ ისინი ხელს უშლიდნენ საარჩევნო კამპანიის თანაბარ პირობებში წარმართვას, ჟურნალისტმა იგი გააჩერა. წამყვანი ასევე ითვალისწინებდა, რომ თოქ-შოუში მხოლოდ ერთი მხარე იყო მიწვეული და არ სვამდა კითხვებს, რომლებსაც სტუმრის ოპონენტის მხრიდან პასუხის გაცემა დასჭირდებოდა.

დასმული კითხვები თემატური და აქტუალური იყო. სტუმარსა და ჟურნალისტს შორის დისკუსიებიც იმართებოდა, თუმცა ჟურნალისტი თითქმის ყოველთვის აცდიდა სტუმარს საკუთარი მოსაზრების გამოთქმა დაემთავრებინა.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ქვეშ შემდეგი თოქ-შოუები მოექცა: "დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად", "არჩევანი 2013" (წამყვანი რუსუდან გვიმრაძე) და "თქვენი პარლამენტი".

აქვე უნდა ითქვას, რომ დაკვირვების პერიოდში აღნიშნული თოქ-შოუების მხოლოდ თითო გადაცემა გავიდა ეთერში, რაც მათი საფუძვლიანი ანალიზის და ტენდენციებზე საუბრის საშუალებას არ იძლევა.

თოქ-შოუების ("დიალოგი" და "არჩევანი 2013") წამყვანი ეთერის მსვლელობის დროს მიუკერძოებელი იყო. გადაცემებში მიწვეული სტუმრები სხვადასხვა მხარეებს წარმოადგენდნენ, რაც განხილული თემის ირგვლივ მოსაზრებებს მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად წარმოაჩენდა. წამყვანი ცდილობდა მაყურებელს თემის ირგვლივ ამომწურავი ინფორმაცია მიეღო და სტუმრებს საშუალება ჰქონოდათ საკუთარი პოზიცია გამოეხატათ.

თოქ-შოუ "არჩევანი 2013" „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუ "არჩევანი 2013" საპრეზიდენტო კანდიდატების საპროგრამო თეზისების განხილვას ეხებოდა. გადაცემის პირველ ბლოკში მიწვეულმა სტუმრებმა კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ხალხის პარტიის“ საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები დეტალურად წარმოადგინეს. ხოლო თოქ-შოუს მეორე ნაწილში საკუთარ პოზიციებსა და გეგმებზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა, გიორგი თარგამაძემ ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ გადაცემას ინტერაქტიული ხასიათი ჰქონდა და მთავარი სტუმრების გარდა, თოქ-შოუს მსვლელობისას შეკითხვებს დარბაზში მიწვეული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც სვამდნენ. წამყვანი მაქსიმალურად ნეიტრალური იყო და, ძირითადად, მედიატორის როლში გვევლინებოდა.

გადაცემა "თქვენი პარლამენტი", რომელიც ეთერში 23 სექტემბერს გავიდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი-საქართველოს პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მომზადებული გადაცემაა. თუმცა მიწვეული სტუმრებისთვის დასასმელ კითხვებს რეგიონალური ტელეკომპანიები წინასწარ აწვდიან წამყვანს.

23 სექტემბრის გადაცემაში "თქვენი პარლამენტის" წამყვანმა დაანონსებული თემა (ცვლილება კანონში სოფლების იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით) ეთერში ორ მიწვეულ სტუმართან ერთად განიხილა. მხარეები დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატები თემის ირგვლის საკუთარ პოზიციებს გამოხატავდნენ. ეთერში დისკუსია არ გამართულა, გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

"თანამგზავი" (თელავი) - ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ "დიალოგი" კვირაში ერთხელ, პარასკევს, 20:30-ზე გადაიცემა. მისი ხანგრძლივობა საშუალოდ ერთ საათს შეადგენს. გადაცემა ორ ნაწილად იყოფა - იცვლება თემები და შესაბამისად სტუმრებიც. "დიალოგის" წამყვანია ნატო მეგუთნიშვილი.

საანგარიშო ორი კვირის განმავლობაში გადაცემა ეთერში ორჯერ გავიდა. განიხილებოდა თემები:

- ახალი სასწავლო წლის დაწყება და განათლების სისტემაში არსებული პრობლემები;
- პრობაციონერების რესოციალიზაციის პროცესი;
- აფხაზეთის ომის შეფასება;
- თელავის თეატრში ახალი სეზონის გახსნა.

ჟურნალისტი ცდილობდა გადაცემის მსვლელობისას მოდერატორი ყოფილიყო და არ შესულიყო დებატებში მიწვეულ სტუმრებთან. კითხვები თემების ადეკვატური იყო, თუმცა 20 სექტემბრის გადაცემის პირველ ნაწილში წამყვანმა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს, ლია ბაზიერაშვილს არაეთიკური კითხვა დაუსვა: ჟურნალისტს მისი პოლიტიკური ხედვები აინტერესებდა.

გადაცემის მსვლელობისას მოქალაქეები რეკავდნენ და კითხვებს უსვამდნენ მიწვეულ სტუმრებს, რამდენიმე კითხვა თემის არაადეკვატური იყო, თუმცა წამყვანს ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

წამყვანი საშუალებას აძლევდა სტუმრებს თამამად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და სიტყვას არ აწყვეტინებდა.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში 26 სექტემბერს გავიდა თოქ-შოუ „საუბრები ქალთა საკითხებზე“. გადაცემა სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ისინი შიდა ქართლში დევნილთა განსახლების საკითხს განიხილავდნენ. 45 წუთიან გადაცემაში ჟურნალისტმა ეკა თეთრაძემ სტუმრებს დევნილ ქალთა პრობლემებზე საუბრის საშუალება თანაბრად მისცა. გადაცემის წამყვანი მოკლედ აყალიბებდა კითხვებს და ცდილობდა სტუმრებისგან ინფორმაცია მიეღო, თუ როგორ ცხოვრობენ საქართველოში დევნილი ქალები და ზოგადად დევნილები, ინტერესდებოდა მათი პრობლემებით.

23 სექტემბერს ტელეკომპანია „თრიალეთმა“ საინფორმაციო გამოშვების დასრულების შემდეგ ეთერში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლუის ნავაროსთან ჩაწერილი ინტერვიუ გაუშვა. ჟურნალისტმა ლუის ნავაროს კითხვები ძირითადად "საზოგადოებრივი განწყობების კვლევის" შედეგებზე დაუსვა, რომლის პრეზენტაციაც 23 სექტემბერს გაიმართა. კითხვები მშრალი იყო და ძირითადად მაყურებლისთვის კვლევის შედეგების გაცნობის საშუალებას იძლეოდა. ერთი კითხვა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ NDI-ის კვლევებისადმი უნდობლობის საკითხსაც ეხებოდა.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - 23 სექტემბერს ტელეკომპანიის ეთერში გავიდა თოქ-შოუ „არჩევანი 2013“, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობას 4 საპრეზიდენტო კანდიდატის წარმომადგენელი იღებდა. თოქ-შოუს წამყვანმა მიწვეულ სტუმრებს საარჩევნო პროგრამის წარსადგენად 3-3 წუთი მისცა. ჟურნალისტი მოკლე შეკითხვებს სვამდა და ცდილობდა ყველა სტუმრისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა. წამყვანი სტუმრების მიმართ ნეიტრალური იყო. თოქ-შოუში გავიდა სიუჟეტი, სადაც სხვადასხვა სოფელში მცხოვრები მოქალაქეები არსებულ პრობლემებზე საუბრობდნენ. ჟურნალისტი დაინტერესდა, თუ რა გეგმა ჰქონდა თითოეულ საპრეზიდენტო კანდიდატს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. თუ რესპონდენტი ზოგადი პასუხით შემოიფარგლებოდა, ჟურნალისტი ცდილობდა სტუმრისგან კონკრეტული პასუხი და უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში ასევე გავიდა თოქ-შოუ „წყალთან დაკავშირებული პრობლემები ოზურგეთში“. გადაცემა სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მათი საუბრიდან ჩანდა, რომ ისინი ოზურგეთის წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს კარგად იცნობდნენ. გადაცემაში ასევე გავიდა სიუჟეტი, სადაც მოქალაქეები თავიანთ პრეტენზიებს გამოთქვამდნენ და არსებულ მდგომარეობას აღწერდნენ.

ჟურნალისტი რესპოდენტების მიმართ მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას თითქმის არ აფიქსირებდა. წამყვანი ცდილობდა პრობლემის მოგვარების საკითხი სტუმრებთან გაერკვია.

ტელეკომპანიის კიდევ ერთ თოქ-შოუში „საზოგადოებრივი დარბაზი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებზე და მათ მოგვარებაზე საუბრობდნენ. ჟურნალისტს სტუდიაში ორი სტუმარი ჰყავდა მიწვეული, რომლებიც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებს განიხილავდნენ. ჟურნალისტი სტუმრებს აზრის გამოთქმის საშუალებას თანაბრად აძლევდა და მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა.

"იმერვიზია" (ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერით რამდენიმე თოქ-შოუ გავიდა: "ძალა უძალოთა", "არჩევანი 2013", "დიალოგი" და "თქვენი პარლამენტი".

20 სექტემბრის თოქ-შოუ "ძალა უძალოთას" თემა იყო, თუ როგორ აპირებს ხელისუფლება გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარებას. გადაცემის წამყვან ლევან ალექსიშვილს ხუთი სტუმარი ჰყავდა მიწვეული. სტუდიაში იმყოფებოდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, გამგებლის მოადგილე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი და ორი სოფლის რწმუნებული.

თოქ-შოუს წამყვანი სტუმრებს გურჯაანის რაიონში არსებულ პრობლემებზე უსვამდა კითხვებს. წამყვანი ცდილობდა, სტუმრების მიერ წამოჭრილი თემები გაეშალა. თოქ-შოუს ფორმატით გათვალისწინებული იყო მაყურებელთა ზარებიც. ერთსაათიან გადაცემაში მოქალაქეთა ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო. ჟურნალისტი ცდილობდა, სტუმრებს ყველა იმ თემაზე ესაუბრათ, რომლითაც მოქალაქეები იყვნენ დაინტერესებულნი.

27 სექტემბერს „ძალა უძალოთას“ ეთერი თოქ-შოუ „არჩევანი 2013-ს“ დაეთმო, რომელიც ჟურნალისტ ლევან ალექსიშვილს მიჰყავდა. ტელედებატები „საქართველოს რეგიონულ მათწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

ტელედებატებში საქართველოს პრეზიდენტობის ხუთი კანდიდატის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჟურნალისტი ინტერესდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატების მთავარი გზავნილით, მათი პროგრამებით და პრიორიტეტებით.

სტუმრების საუბრის რიგითობა წილისყრით იყო განსაზღვრული. თოქ-შოუს დარბაზი ესწრებოდა, რომელიც გადაცემაში საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული. დამსწრეებს დებატების შუა ნაწილში თითო კითხვის დასმის საშუალება ჰქონდათ. აქტიური იყო აგრეთვე სატელეფონო ზარებით მოქალაქეთა ჩართულობაც, თითქმის საათნახევრიანი გადაცემის ბოლო 15 წუთი მთლიანად მაყურებლებისთვის იყო განკუთვნილი. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სატელეფონო ჩართვა, როდესაც მოქალაქეები "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ არაკორექტულ გამოთქმებს ხმარობდნენ, გადაცემის წამყვანის მოთხოვნით გათიშეს.

ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ორშაბათობით გადაცემა „დიალოგი“ გადიოდა. საანგარიშო პერიოდში ორი გადაცემა მომზადდა. განხილული თემები იყო:

- სოფლის მეურნეობა;
- სპორტი გურჯაანის რაიონში;

წამყვანი სტუმრებს სფეროებში არსებულ პრობლემებზე უსვამდა კითხვებს და ცდილობდა მათთვის ოპონირება გაეწია. სოფლის მეურნეობაზე მომზადებულ გადაცემაში წამყვანი აქტიურად სვამდა კითხვებს იმ პრობლემებზე, რომლებიც გლეხებს აწუხებთ. გადაცემაში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სექტორზე იყო საუბარი.

22 სექტემბერს ტელეკომპანია "გურჯაანის" ეთერში გავიდა 6 წუთიანი გადაცემა „თქვენი პარლამენტი“. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი-საქართველოს პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

გადაცემაში, რომლის თემა მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის საქმიანობის შეფასება იყო, მონაწილეობას ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-მაჟორიტარების“ წევრი დავით ჭავჭავაძე იღებდა. ჟურნალისტი რესპონდენტის მიმართ მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, სტუმარს იმ კითხვებზე მოუწია პასუხების გაცემა, რომლებიც რეგიონალური ტელევიზიებისგან ტელეშეკითხვების სახით იყო მომზადებული.

მეგა ტვ" (ქ. ხონი) - ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ "ფორუმი" კვირაში ერთხელ, ორშაბათობით გადიოდა. პარასკევობით კი არხის დროს "სტუდია რეს" მიერ მომზადებულ თოქ-შოუს უთმობდა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში არხზე "ფორუმის" ორი გადაცემა მომზადდა, რომლებიც შემდეგ საკითხებს შეეხებოდა:

- წინასაარჩევნო გარემოს შეფასება;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა და მისი განვითარების ტემპი;

"ფორუმის" წამყვანი მიწვეულ სტუმრებთან პირდაპირ ეთერში წინასწარ შერჩეულ საკითხებს განიხილავდა. ჟურნალისტი რესპონდენტების მიმართ მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას თითქმის არ აფიქსირებდა. გადაცემა (45-50 წუთი) ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. სტუმრებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდათ. ორივე გადაცემაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი და საკითხის ირგვლივ

საკუთარ პოზიციებს შეუზღუდავად გამოხატავდნენ. 23 სექტემბრის გადაცემაში დაანონსებული თემის გარდა სხვადასხვა საკითხებზე საუბრობდნენ.

"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“, „25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ და „მეცხრე არხი“.

ტელეჟურნალის საეთერო დრო ეთმობოდა სიუჟეტებსა და დისკუსიას. სტუდიაში, ჩვეულებრივ ორი ან სამი სტუმარი იყო მიწვეული.

საანგარიშო პერიოდში ტელეჟურნალმა რეგიონებში საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები გააშუქა. მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემებში წარმოდგენილი იყო მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრი, გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე.

საანგარიშო პერიოდში გასულ ორი გადაცემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა და მიმდინარე მოვლენა გაშუქდა:

- სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები;
- საოკუპაციო ხაზი და ე.წ. საზღვრისპირა მოსახლეობის პრობლემები.
- სოფლის სკოლების პრობლემები.
- საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო კამპანია რეგიონებში;
- რთველის პრობლემები.
- სტალინის მონუმენტების დაბრუნება.

მონიტორინგის პერიოდში გასულ პირველ გადაცემაში მიწვეული იყო ექსპერტი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. სასაუბრო თემის გარშემო მომზადებული სიუჟეტები მიუთითებდა სურსათის უვნებლობის პრობლემის აქტუალობაზე. მონიტორინგის სუბიექტებიდან აღნიშნულ გადაცემაში გაშუქდა ადგილობრივი ხელისუფლება. გადაცემაში წარმოდგენილი იყო მოსაზრებები სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ, თუ როგორ ასრულებდა კონკრეტული მუნიციპალიტეტი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სიუჟეტში გაშუქდა მუნიციპალიტეტის პოზიციაც.

ტელეჟურნალ „მრავალკუთხედის“ მეორე გადაცემაში რამდენიმე მიმდინარე მოვლენა გაშუქდა. საოკუპაციო ზოლზე მავთულხლართების მშენებლობა სიუჟეტში შიდა ქართლის გუბერნატორმა შეაფასა. მის უარყოფით ტონს პრემიერის მიმართ, მთავრობის წარმომადგენლის განმარტებითი, პოზიტიური კომენტარი მოჰყვა. მთლიანობაში სიუჟეტი დაბალანსებული იყო.

მომდევნო სიუჟეტში, რომელიც სოფლის სკოლების პრობლემებს შეეხებოდა, ტელეჟურნალმა გააშუქა კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის კომენტარი არქივიდან, რომელშიც იგი მარნეულის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობას სკოლის მშენებლობას დაჰპირდა. სიუჟეტში ჟურნალისტი დაპირების შეუსრულებლობაზე მიუთითებდა.

დაიჯესტში, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო კამპანიას ეხებოდა, ჟურნალისტი რეგიონებში ინფორმაციის ნაკლებობაზე მიუთითებდა. გაშუქდა საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებიც. ტელეჟურნალმა თანაბარი დრო დაუთმო: დავით ბაქრაძის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ნინო ბურჯანაძის („დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსათვის“) მოსახლეობასთან შეხვედრებს ახალქალაქსა და ახმეტაში, ასევე კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის გახსნას ქუთაისში. სიუჟეტებში პრეზიდენტობის კანდიდატების რამდენიმე კომენტარი მოხვდა, რაც მათი საარჩევნო პროგრამების შესახებ მაყურებლისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ტელეჟურნალის სიუჟეტები პრობლემების სიღრმისეული ანალიზით და მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები ინფორმაციას მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტების უმრავლესობაში დაცული იყო ბალანსი და გაშუქების ნეიტრალური ტონი.

სტუდია "რე

ტელეკომპანიების: "გურჯაანი", "მეგა ტვ" და "მე-9 არხი" სადამოს ეთერში სტუდია „რეს“ 45 წუთიანი ტელედისკუსია გადიოდა.

საანგარიშო პერიოდში სამი გადაცემა გავიდა, სადაც შემდეგი თემები განიხილებოდა:

- დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობა (*"გურჯაანი", "მეგა ტვ," "მე-9 არხი"*);
- ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება (*"გურჯაანი"*);
- ვიზების ლიბერალიზაცია (*"მეგა ტვ," "მე-9 არხი"*);

გადაცემები სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

ჟურნალისტის კითხვები ზოგ შემთხვევაში შეფასებითი იყო. წამყვანი ზვიად ქორიძე მის მიერ დასმული კითხვებით ცდილობდა, თემა მეტად გაეშალა და სტუმრებისგან ამომწურავი პასუხები მიეღო.

სოციალური რეკლამების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას (9.06.2006 N3245)". დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალურ რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

მონიტორინგის შედეგები: საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

30 სექტემბერი - 13 ოქტომბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეორე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.